სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

2017 წ.

მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი

თბილისი

2017

მუხლი1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/ დანიშვნის წესსა და პრცედურებს

მუხლი 2. უნივერსიტეტის მართვის ძირითადი ორგანოები

1. აკადემიური საბჭო;
2. რექტორი;
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო;
2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს წევრები და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე;
3. აკადემიური საბჭოს არჩევნები ტარდება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან სკოლის საბჭოს მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით.
5. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მას ესწრება სკოლის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
6. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში პირი აირჩევა, თუ მას ღია კენჭისყრით მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა.
7. აკადემიურ საბჭოში თითოეული სკოლიდან აირჩევა მაქსიმუმ 2 წევრი.
8. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
9. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 3 წლით.
10. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
11. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები.
12. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 4. რექტორი

რექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის დამფუძნებელი აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი 5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი აკადემიურ საბჭოსთან

შეთანხმებით.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.